ღია ბარათი

დაგიმზადებია ღია ბარათი? თუ იყო, სად და როდის შეიქმნა იგი პირველად? წაიკითხე ტექსტი და ღია ბარათის შესახებ ბევრ საინტერესოს შეიტყობ.

ღია ბარათი **მუყაოზე** იბეჭდება. მის ერთ მხარეს არის ფერადი სურათი. ბარათის მეორე მხარეს ტექსტი და მისამართი იწერება. ადამიანები ასეთი ბარათით ერთმანეთს ულოცავენ დაბადების დღეს, შობას, ახალ წელს... ბარათს ხშირად ფოსტით გზავნიან. ზოგჯერ პირადად გადასცემენ **ადრესატს**.

ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ პირველი ღია ბარათი სერ ჰენრი კოულმა დაამზადა. ბარათზე ხატია სერ ჰენრის ოჯახი. ოჯახის წევრები ლამაზ საშობაო სუფრასთან სხედან. იქვეა წარწერა: „მხიარულ შობასა და ბედნიერ ახალ წელს!“ ეს ბარათი ლონდონის მუზეუმში დღემდე ინახება. იგი 500 წლის მაინც იქნება. 1795 წელს კი ინგლისში ღია ბარათების **სერია** შეიქმნა. ყველა ბარათი ხელით გააფორმა მხატვარმა დობსონმა.

1860 წლამდე ღია ბარათს მხოლოდ ხელით ამზადებდნენ. მხატვარს უამრავი ზუსტად ერთნაირი სურათი უნდა დაეხატა. ეს ძალიან **მძიმე** შრომა იყო.

მალე ხელით ნახატი ღია ბარათი ნაბეჭდმა შეცვალა. თუმცა ხელით შექმნილი ღია ბარათები დღესაც ყველას მოსწონს. მათი მიღებაც ძალიან უხარიათ.

ღია ბარათის დამზადება შენც შეგიძლია. ეს საკმაოდ ადვილია. ამისთვის გამოიყენე მუყაო, წებო, მძივები, ქსოვილი და სხვ. იმედი მაქვს, ლამაზი ბარათი გამოგივა!

კომპონენტი: ფაქტი, მოსაზრება. დონე: 3.1

ალბათ, სურვილი გაგიჩნდა, ახლავე გააკეთო ლამაზი ღია ბარათი. მოიფიქრე, ვის გაუგზავნი მას და რას მიულოცავ.

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ალბათ, ბარათის გაფორმება სახალისო და საინტერესოა.

ბ) სასურველია, რომ ღია ბარათი პირადად გადაეცეს ადრესატს.

გ) ცნობილია, რომ ღია ბარათების ბეჭდვა 1860 წლიდან დაიწყეს.

2 რის შესახებ გამოთქვამენ მოსაზრებას ინგლისელები?

ა) ვინ შექმნა პირველი ღია ბარათი.

ბ) როდის დაიწყო ღია ბარათების ბეჭდვა.

გ) სად ინახება ყველაზე ძველი ბარათი.

3 როცა მხატვრები ხელით აფორმებდნენ ბარათების სერიებს:

ა) მათ მისალოცი ტექსტიც უნდა დაეწერათ ბარათებზე.

ბ) მათ საშობაო დღესასწაული უნდა აესახათ ბარათებზე.

გ) ბევრი ერთნაირი სურათი უნდა დაეხატათ ბარათებზე.

4 რომელ წინადადებაშია გადმოცემული მოსაზრება?

ა) 1860 წლამდე ღია ბარათებს მხატვრები ხელით აფორმებდნენ.

ბ) ღია ბარათით ადამიანები ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ.

გ) ყველაზე ძველი ღია ბარათი, ალბათ, 500 წლის მაინც არის.

5 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?

ა) რატომ დაიწყეს ღია ბარათების ბეჭდვა.

ბ) რომელი უძველესი ბარათი ინახება მუზეუმში.

გ) რომელ ქვეყანაში დაიწყეს ღია ბარათების დამზადება.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ღია ბარათი **მუყაოზე** დაბეჭდილი პატარა სურათია.

   ა) ნებისმიერი ხარისხის ქაღალდზე.

   ბ) მოსქო და მაგარ ქაღალდზე.

   გ) ფერად და თხელ ქაღალდზე.

2. **ადრესატს** პირადად უგზავნიან ბარათს ფოსტით. **ადრესატი** არის ის:

   ა) ვინც გზავნის ბარათს.

   ბ) ვინც იღებს ბარათს.

   გ) ვინც ხატავს ბარათს.

3. გამოვიდა ღია ბარათების **სერია.** აქ **სერია** ნიშნავს:

   ა) ერთნაირად გაფორმებულ ბევრ ბარათს.

   ბ) სხვადასხვანაირად გაფორმებულ ორ ბარათს.

   გ) ყველაზე ლამაზად გაფორმებულ ბარათებს.

4. ბარათზე ხატვა ძალიან **მძიმე** იყო.

   ა) მარტივი ბ) სახალისო. ბ) ძნელი. .

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ლამაზი – მშვენიერი. ბ) მძიმე – მსუბუქი. გ) სახალისო – საინტერესო.

გრამატიკა

1 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ის, რაც დაიბეჭდა, არის* ***დაბეჭდილი.***

1. ის, რაც შეიქმნა, არის ----------.

2. ის, რაც გაიგზავნა, არის ----------.

გრამატიკა

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ოჯახის წევრები სუფრასთან ----------. ***(ზიან / სხედან)***

3 რომელია არასწორი?

1. ა) ბარათით. ბ) ზუსტათ. გ) ხელით.
2. ა) ერთნაირი ბარათები. ბ) ნაბეჭდი ბარათები. გ) უამრავი ბარათები.

წერა

1 დაწერე ტექსტის მიხედვით ერთი ფაქტი და ერთი მოსაზრება.

---

2 ალბათ, უკვე მოიფიქრე, ვისთვის დაამზადებ ღია ბარათს და რას მიულოცავ მას. ბარათის დასამზადებლად:

- აიღე სუფთა ფურცელი. ფურცელზე დახატე სურათი ისე, რომ დარჩეს ადგილი ტექსტის დასაწერად.
- შეავსე შენ მიერ დახატული ბარათი მისალოცი ტექსტით.
- აქ დაწერე ტექსტი, რომელსაც გადაიტან შენ მიერ შექმნილ ღია ბარათზე.